პროექტი

# ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
# განკარგულება N

30 ოქტომბერი, 2019 წელი ქალაქი ბათუმი

**„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №69 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ემუხლის მე-2 პუნქტის, ამავე კოდექსი 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №69 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცებულ იქნეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის პერსონალური შემადგენლობა შემდეგი სახით:

| | | | |
|---|---|---|---|
| ა) | ზურაბ ნაკაიძე | – | კომისიის თავმჯდომარე; |
| ბ) | დავით მახარაძე | – | კომისიის წევრი; |
| გ) | ირაკლი თოფურიძე | – | კომისიის წევრი; |
| დ) | ანზორ დევაძე | – | კომისიის წევრი; |
| ე) | მუხამედ ართმელაძე | – | კომისიის წევრი; |
| ვ) | ლევან ანთაძე | – | კომისიის წევრი; |
| ზ) | თამაზ სალუქვაძე | – | კომისიის წევრი; |
| თ) | გოჩა მგელაძე | – | კომისიის წევრი; |
| ი) | გელა დეკანაძე | – | კომისიის წევრი.“. |

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე სულიკო თებიძე

# განმარტებითი ბარათი

**პროექტის სახელწოდება და სათაური**

**„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №69 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**

**ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ**

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №69 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი:**

წინამდებარე პროექტის მიღება განპირობებულია საკრებულოს წევრის ომარ მახარაძის მიერ წარმოდგენილი N11/223 განცხადებით (29.10.2019წ.), ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ.

**ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:**

განკარგულების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდას.

**ბ.ბ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:**

განკარგულების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ფინანსური შედეგების დადგომას იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება.

**გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:**

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

**დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზა-ცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

**ე) პროექტის ავტორი:**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილება.

**ვ) პროექტის ინიციატორი:**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე - ზურაბ ნაკაიძე

**ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საკრებულოს წევრი

N 11/223
29/10/2019

223-11-3-201910291239

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო და ეკონომიკური განვითარების

კომისიის თავმჯდომარეს

ამავე კომისიის წევრის

ომარ მახარაძის

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მაქვს სურვილი გავიდე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის შემადგენლობიდან.

ომარ მახარაძე

საკრებულოს წევრი

ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

6010 ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25
Batumi. L. Asatiani st. 25

ტელ: +995 (422) 27 90 01.
Tel: +995 (422) 27 90 01. E-mail: members@batumicc.ge